

შპს მოზაიკს

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები	9
5. სასაქონლო მატერიალური მარაგები	9
6. სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული ავანსები	10
7. სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები	10
8. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება..	11
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11
10. ხელფასები და სხვა სარგებელი	11
11. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	12
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	519 408	213 229	63 564
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	1 222 967	904 756	524 861
სავაჭრო მოთხოვნები	6	77 912	9 101	1 472
გაცემული ავანსები	6	229 190	227 552	28 600
საგასახადო აქტივი		145 510	156 831	64 789
სულ მოკლევადიან აქტივები		2 194 987	1 511 469	683 286
გრძელვადიანი აქტივები				
სხვა არამატერიალური აქტივები		6 607	7 052	6 204
ძირითადი საშუალებები		89 419	113 881	137 981
სულ გრძელვადიანი აქტივები		96 026	120 933	144 185
სულ აქტივები		2 291 013	1 632 402	827 471
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	46 719	86 461	119 617
მიღებული ავანსები	7	1 067 092	1 029 092	337 883
საგადასახადო ვალდებულებები		14 710	35 734	2 215
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 128 521	1 151 287	459 715
სულ ვალდებულებები		1 128 521	1 151 287	459 715
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		100 000	250 000	405 000
გაუნაწილებელი მოგება		1 062 492	231 115	(37 244)
სულ საკუთარი კაპიტალი		1 162 492	481 115	367 756
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2 291 013	1 632 402	827 471

დირექტორი



ირაკლი შამელაშვილი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	7	3 977 683	2 669 380
რეალიზებული პროდუქციის	7		
თვითღირებულება		(1 792 570)	(1 317 783)
საერთო მოგება		2 185 113	1 351 597
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(711 197)	(557 821)
ხელფასები და სხვა სარგებელი	9	(395 472)	(302 371)
იჯარის ხარჯი		(264 237)	(220 604)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(39 014)	(36 453)
სხვა შემოსავლები		92 582	56 593
სხვა ხარჯები		(37 492)	(22 121)
საოპერაციო მოგება		830 283	268 820
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		1 094	(461)
მოგება დაბეგვრამდე		831 377	268 359
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		831 377	268 359

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	405 000	(37 244)	367 756
კაპიტალის შემცირება	(155 000)		
წმინდა მოგება	-	268 359	268 359
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	250 000	231 115	481 115
კაპიტალის შემცირება	(150 000)	-	(150 000)
წმინდა მოგება	-	831 377	831 377
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	100 000	1 062 492	1 162 492

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მოზაიკსი დაფუძნდა 2020 წელს და რეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ., N 7, ბ. 18. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405381457. კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

ირაკლი შამელაშვილი, 60001054661 /ორმ. მოქ.საქართველო, რუსეთის ფედერაცია/ - 25%

ირაკლი დვალი, 01019013249- 37,5%

ნატო სალარიძე, 01017016147- 37,5%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა იურდიულ და ფიზიკური პირებზე სანტექნიკის და სხვადასხვა სარემონტო, მასალების რეალიზაცია. კომპანია საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - ირაკლი შამელაშვილი (პ/ნ 60001054661).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-8

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. 2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო

ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

4.4 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

4.6 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც

საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე.

ფული და ფულის ექვივალენტები	31/12/2023	31/12/2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	977	339
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	490 322	201 226
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	28 110	11 665
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	519 408	213 229

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები დაყოფილია საქონლად, დაუმთავრებელ წარმოებად და სხვა . მათი ნაშთები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31/12/2023	31/12/2022
საქონელი	1221207	869967
სხვა	1760	34789
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	1222967	904756

6. სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული ავანსები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც კომპანიამ გაუწია მომსახურება და რომელთაგანაც მომსახურების თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2022 წლის ბოლოს კომპანიას ჰყავდა 1, ხოლო 2023 წლის ბოლოს 10-მდე დებიტორი.

გაცემული ავანსებისგან ჩაშლა წარმოდგენილია ცხრილში:

გაცემული ავანსები	31/12/2023	31/12/2022
არარეზიდენტი მომწოდებლები	203 795	220 327
ადგილობრივი მომწოდებლები	10 726	55
სხვა	14 669	7 170
სულ	229 190	227 552

7. სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები

აღნიშნული ვალდებულებები ძირითადად შედგება ფიზიკური პირებიდან მიღებული ავანსებისგან ჩაშლა წარმოდგენილია ცხრილში:

მიღებული ავანსები	31/12/2023	31/12/2022
ფიზიკური პირები	906 480	922 478
იურდიული პირები	160 612	106 614
სულ	1 067 092	1 029 092

8. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი

კომპანია შემოსავალს გამოიმუშავებს სანტექნიკის და სხვადასხვა სარემონტო, მოსაპირკეთებელი მასალების რეალიზაციით. 2023 წელს კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა შემოსავლები, რაც ძირითადად განპირობებული იყო კომპანიის ბრენდის ბაზარზე ცნობადობის ამაღლებით. თვითღირებულების ხარჯი მოიცავს საქონლის იმპორტირებისთვის და დასაწყობებისთვის გაწეულ ხარჯებს.

დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	7,255,595	5,723,381
თვითღირებულების ხარჯი	(4,344,040)	(4,078,474)
საერთო მოგება	2,911,555	1,644,907

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ცხრილში:

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
რეკლამის ხარჯები	476 425	395 879
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	20 663	13 377
მიწოდების სხვა ხარჯები	17 435	794
კომუნიკაციის ხარჯები	1 699	2 081
კომუნალური ხარჯები	41 459	31 253
სამივლინებო ხარჯები	18 961	13 199
რემონტი	24 541	15 893
კომპიუტერის ხარჯები	0	252
საკონსულტაციო ხარჯები	28 637	15 684
სხვა საგადასახადო ხარჯი	5 432	1 259
საბანკო მომსახურება	16 367	19 801
სხვა საერთო ხარჯი	17 370	5 194
საკანცელარიო ხარჯები	628	388
ესტონური მოდელის მოგებით დასაბეგრი ხარჯები	37 724	42 767
წარმომადგენლობითი ხარჯი	3 856	
სულ	711 197	557 821

10. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2023	2022
სახელფასო ხარჯი	379 883	291 327
საპენსიო და სხვა სარგებელი	15 589	11 044
სულ	395 472	302 371

11. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მენეჯმენტის კომპენსაცია

2023 წელს მენეჯმენტის კომპენსაციამ შეადგინა 147579 ლარი, ხოლო 2022 წელს 96540 ლარი.

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.